# სახალხო გაზეთი

№ 164 კვირა, 21 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და ყასაბუქეთ განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა. დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მ იღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большья Ванская ул., N 12, Семену Пападашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


ეკატერინე მიხეილის ასული ხაჟავარელიძე შვილებით, აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას 17-ს ნოემბრ. საყვარელ მეუღლისა და მამის

## გაბრიელ ბექანის ძის საყვარელიძისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 საათზე. არცრუნის ქ. № 27. გამოსვენება კვირას, 21 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. (2—227—2)

კვირას, 21 გიორგობისთვეს, ტფილისის ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი, განსვენებულის ბოქაულის

## ალექსანდრე გრიგოლის ძის დავითიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, მეუღლე სოფიო დიმიტრის ასული შვილებითურთ, ძმა—ივანე გრიგოლის ძე დავითიშვილი, და დები სოფიო მთვარელიძისა და ანნა პარკაძისა. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ; პანაშვიდი 12 საათზედ. (1—229—1)

ეკატერინე დავითის ასული, ელენე მიხეილის ასული ხელაძენი, ნინო ექვთიმეს ასული მამულაიშვილისა, ხონა ექვთიმეს ასული გუნცაძისა და ტერეზია ექვთიმეს ასული ხელაძე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ უდროოდ გარდაცვალებას პირველი—საყვარელ შვილისას, მეორე—მეუღლისას და დანარჩენნი ძმისას

## მიხეილ ექვთიმეს ძე ხელაძისას.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე. ცხედრის გამოსვენება სამშაბათს, 23 ნოემბერს, საპიკრთა ქუჩა, საკუთ. სახლი, № 4, ქვაშვეთის ეკლესიაში; დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. (1—233—1)


## რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

## დიდძალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

ჯაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ხიდზე „ფაბრიჩნი მაღაზიის" ფირმის ქვეშ. N N 24—25. 50—57—41)


ნიკო ჩხეიძის გასტროლი

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა №

კვირას, 21 ნოემბერს, 1910 წელს,

ნ. პ. ჩხეიძისა და ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## ოლალტი

დრამა 5 მოქმედებად. ი. სუმბათაშვილისა, თარგ. გრ. ყიფშიძისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ლეჟავა ო., ჩერქეზიშვილი, პიმრეტა, ჩხეიძე, ჯავახიშვილი ბ-ნნი: აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, ა. ალექსიძე, გუნია, ყიფიძე, მესხი, მატარაძე, მდივანი, მგალობლიშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგადოება. რეჟისორი ვლ. ს. ალ. მესხიშვილი.

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „მეუფება წყვდიადისა", „ყაჩაღები", „მისს გობს", ნორჩი თაობა" და სხვ. (2—ფ.—2)


## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. ამბულატორულ ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.

ხოზოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—331)



## ბლუზათა კვირა

22, 23, 24, 25, 26, და 27 ნოემბერს

● დიდის ფას-დაკლებით ●

## გ. მ. ჩილინგაროვის მაღაზიაში

სასახლის ქუჩაზე

დანიშნულია ბლუზათა კვირა

| | |
|---|---|
| მატყლის ბლუზები | 3 მ. 75 კ.-დან. |
| ნაქსოვი ბლუზები | 3 მ. 50 კ.-დან. |
| ტულის ბლუზები | 4 მ. 75 კ.-დან. |
| აბრეშუმის ბლუზები | 5 მ. 25 კ.-დან. |

აგრეთვე ღამის სამოსელი, შარფები, სირაქლემის ბოა, მარაბუ, ბეწვეულის გარნიტურა, რიდიკულები, ჩულქები, ცხვირსახოცები, ქამრები, ქაბო, ხელთათმანები, თივთიკის კაპოტი, მატინე, ქვედა იუბკები, აბრეშუმის ალპაგა, ნაქსოვი ლიფები და წინსაფრები.

✦ დამზადებულია ქალთა სავლები და სხვა ახალი რამ ✦

ტელეფ. № 850. დიდის ფას-დაკლებით ტელეფ. № 850.

ბლუზათა კვირა

ბლუზათა კვირა

ბლუზათა კვირა



## რესტორანი მონტე-კარლო

ვერის დაღმართი, სახლი ყორღანოვისა.

ყოველ დღე 2 საათიდან საღამოს 5 საათამდე და 8 საათიდან ღამის 2 საათამდე უკრავს რუმინული სიმებიანი ორკესტრი, რომელიც შესდგება ქალებისა და კაცებისაგან.

ბუფეტში მოიპოვება რუსეთისა და უცხოეთის სასმელები. სამზარეულოს ხელმძღვანელობს გამოცდილი კულინარი.

(2—228—1) პატივისცემით ი. ნ. ბაჩაშვილი.


**ქ. თელავის** მამასახლისი ამით აუწყებს, რომ უფ. ტფილისის გუბერნატორის ნებადართვით აღმორჩევა თელავის ხმოსნებისა შემდეგი ოთხის წლის ვადით დანიშნულია 27-ს თებერვალს 1911 წელსა და შედგენილი ამ საგნისათვის აღმომრჩეველთა სია ამ ნოემბრის 26-დან ორი კვირის განმავლობაში გამოფენილი იქმნება თელავის სამოქალაქო საბჭოს დარბაზში, სადაც, ვისაც სურს, შეუძლიან გადაათვალიეროს მოხსენებული სია ყოველ დღე დილის ათი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე, გარდა უქმე და კვირა დღეებისა. (1—231—1)

სახალხო უნივერსიტეტი ძმ. ზუბალაშვ. სახალხო სახლში

კვირას, 21 ნოემბერს, 1910 წ. მუზიკალური საზოგადოების მიერ სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება:

## ფაუსტი

ოპერა 4 მოქმედებიანი და 5 სურათით. მუზ. გუნოსი.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნი: გუსაკი, გულულოვი, ისტამანოვი; ბ-ნნი: ურლიხტი, შებუევი, გლებოვი და იანევი. ორკესტრი და ხორო პ. პ. ფალიაშვილის დირიჟორობით. უმთავრესი რეჟისორი ი. ი. რატილი. პასუხის მგებელი რეჟისორი ვ. პ. კუზანოვი. ადგილების ფასი 5 კ-დან 10 კ-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში დილის 12—4 ს.-მდე და საღამოს 6—8 საათამდე. ანონსი ორშაბათს, 29 ნოემბერს მეორედ დადგმული იქნება „რუსალკა". (2—225—2) ადმინისტრატორი თ. დოლიძე.


## მოითხოვეთ ბუნებრივი კახური ღვინოები

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ—ს.

საკუთარ ვენახებიდან.

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—12)



## ბუნებრივი კახური ღვინოები

კარდენახის საუკეთესო ზვრებიდან

## ძმ. ხელაშვილებისა.

სარდაფი ნიკოლოზისა და ნეკრასოვის კუთხის სახლში NN 14 და 11.

სარდაფში ინახება გარდა ახალისა ძველი, 6—7 წლის, ღვინოებიც.

ბოთლი 25 კ.-დან 1 მანეთამდე.

(20—195—7) პატივისცემით—მოსე ხელაშვილი.



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. მოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირაობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

მ. გ. ფელდმანოვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—494)



**ექიმი ე. ი. მინასიანცი** ხწამლობს შინაგან, ბავშვთა და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ მატშიეუს სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—27)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.

ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—ნ.—87)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—18)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე გადავიდა** იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10—12 საათამდე, საღამ. 5—8 საათ.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი რ. დ. მაჭავარიანი** იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—36

**ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—268

**ექიმი** ქ. ქუთაისში **თ. ტყეშელაშვილი** დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილაროვის სახლი, (50—170—12)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)


## ტფილისი, 21 ნოემბერი

**სახალხო კანონპროექტი და სკოლის გარეშე განათლება.**

ეხლახან სახელმწიფო სათათბიროში პირველ-დაწყებით განათლების კანონპროექტი განიხილა. კანონ-პროექტი ჯერ საბოლოოდ მოწონებული არ არის, მაგრამ პირველსავე წაკითხვის დროს, სათათბიროს უმრავლესობამ, კომისიისაგან წარმოდგენილი პროექტი შეავსო საგანგებო წესებით არარუსთა სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების შესახებ ოთხი წლის განმავლობაში. ამ წესებში სათითაოდ არიან ჩამოთვლილი ის არა-რუსნი, რომელთაც ეძლევათ საშუალება სკოლებში სამშობლო ენის ხმარებისა. სხვათა შორის, მოხსენებული არიან ქართველებიც.

ვინც ოდნავ მაინც იცნობს სკოლების მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში, დაგვეთანხმება, რომ ამ პროექტის დაკანონებას და ასრულებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. საყოველთაო პირველდაწყებითი განათლება, ჩვენის აზრით, პირდაპირ განუხორციელებელ სურვილად დარჩება, თუ ეს კანონ-პროექტი საბოლოოდ არ იქმნა დამტკიცებული. მცხოვრებთა დიდს უმრავლესობას წერა-კითხვა არც სამსახურისთვის ესაჭიროება და არც უცხო ენაზე მოლაპარაკე მოხელეებთან საბაასოდ. უმრავლესობას წერა-კითხვა ცოდნის შესაძენად და სხვა და სხვა წვრილმან შინაურ საჭიროებისთვის უნდა. თავის-თავად ცხადია, პირველ-დაწყებითი სკოლა ვერასოდეს ვერ მისცემს ბავშვს უცხო ენის ისეთს ცოდნას, რომ იმან სამშობლო ენის ადგილი დაიჭიროს. ორიოდე რუსულ სიტყვას და უცხო ენის ანბანს პირველ-დაწყებით სკოლიდან გამოსვლის შემდეგ ბავშვი ჩვეულებრივ მალე ივიწყებს და ისეთივე უსწავლელი ჰხდება, როგორიც უსკოლოდ იქნებოდა. ერთად ერთი საშუალება, ხალხის ფართო მასსა მართლა წერა-კითხვის მცოდნე შეიქმნეს, არის სწავლების შემოღება სამშობლო ენაზე. ამიტომ ჩვენ სასიამოვნო მოვლენად მიგვაჩნია, რომ სათათბიროს უმრავლესობა თანახმაა პირველ დაწყებით სკოლებში სამშობლო ენაზე სწავლება დააკანონოს.

ამ ამბავთან ერთად, ჩვენის ფიქრით, შესაძლოდ ჰხდება ცოტა რამ ცვლილება იქმნას შეტანილი ჩვენს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მოქმედებაში. როგორც ყველამ ვიცით, მიუხედავად მხურვალე სურვილისა და ენერგიისა, წერა-კითხვის საზოგადოებამ, უსახსრობისა გამო, მაინც ვერას გზით ვერ მოახერხა თავის სკოლების გამრავლება. თუმცა ეს საზოგადოება თითქმის ნახევარი საუკუნეა იღწვის სახალხო განათლების ასპარეზზე, მაგრამ იმისი სკოლები თითებზე ჩამოითვლებიან. როცა ახალი კანონ-პროექტი საბოლოოდ დამტკიცდება და იმის ძალით სამინისტროს სახალხო სკოლებში სწავლებას ქართულ ენაზე შემოიღებენ, შესაძლო შეიქმნება, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ნაკლები ყურადღება მიაქციოს სკოლების შენახვას და სამაგიეროდ მთელი თავისი ენერგია სკოლის გარეშე განათლებას მოანდომოს. სკოლის გარეშე განათლება არსებითად ისეთი საქმეა, რომლის წარმატებისათვისაც ისე მთავრობის მოქმედება არ არის საჭირო, როგორც თვით ხალხისა და საზოგადოებისა. საზოგადოებრივი თვითმოქმედება ისე ნაყოფიერი არსად არ შეიძლება იყოს, როგორც სკოლის გარეშე განათლებაში. სკოლას შედარებით მუდმივი და უცვლელი საგანი აქვს, სკოლის გარეშე განათლება კი ყოველთვის ცხოვრების ცვალებადს პირობებს უნდა შეეგუოს. მთავრობისთვის უფრო მოსახერხებელია ერთხელ გატკეპნილ გზით სიარული, საზოგადოებრივ ორგანიზაციებისთვის და საზოგადოებრივ თვითმოქმედებისთვის კი სწორედ ისეთი მოქმედებაა ზედგამოჭრილი, რომელიც ანგარიშს უწევს ცხოვრების ყოველგვარ წვრილმან ცვლილებას და ფეხ და ფეხ მისდევს მას. თუ აქამომდე წერა-კითხვის საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებად სკოლების გახსნა და შენახვა მიაჩნდათ ჩვენს მოღვაწეებს, ამისი მიზეზი იყო ერთის მხრივ მთავრობის სკოლათა სიმცირე და მეორეს მხრივ ამ სკოლებში სწავლების დაყენება არა რაციონალურ წესზე. რაკი კანონით სწავლება მთავრობის პირველ დაწყებითს სკოლებში სამშობლო ენაზე მოჰხდება და ამასთან საყოველთაო განათლება იქნება დასახული საბოლოო მიზნად, ჩვენს მოღვაწეებს თამამად შეეძლებათ სკოლებზე მზრუნველობას თავი დაანებონ და სკოლის გარეშე განათლებას მოჰკიდონ ენერგიულად ხელი.

სკოლის გარეშე განათლება მარტო ბიბლიოთეკების და სამკითხველოების დაარსება არ არის. იგი გაცილებით უფრო ფართოა და შეიცავს სწორედ ისეთ ცოდნათა გავრცელებას, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ხალხის საყოველდღეო სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. სკოლის გარეშე განათლების დასაყენებლად ჯეროვანს ნიადაგზე, აუცილებლივ საჭიროა, ფხიზლად ედევნებოდეს თვალ-ყური ხალხის ზნე-ჩვეულებას, იმის მრავალ-ფეროვან წვრილმან ინტერესებს, სამეურნეო და სამრეწველო ცოდნის დონეს და სხვა. სკოლის გარეშე განათლება გულისხმობს ხალხისთვის შესაფერ წიგნაკების გამოცემას და გავრცელებას, საჯარო ლექციებს, სავარჯიშოდ და სანიმუშოდ დროებითის კურსების მოწყობას, ინსტრუქტორების მოწვევას, შინა-მრეწველობის გასაუმჯობესებლად შესაფერ იარაღების გავრცელებას, პრაქტიკულის მიზნებით მო-

გზაურობათა მოწყობას და სხვა. სკოლა და სკოლის გარეშე განათლება ერთმანეთის შემავსებელნი არიან და ფრიად სასარგებლო იქნება ჩვენის ქვეყნისათვის, თუ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ახალ-კანონ-პროექტის განხორციელების დამტკიცების შემდეგ თავის უპირველეს მიზნად სწორედ სკოლის გარეშე განათლებას დაისახავს.

# სახელმწიფო სათათბირო

**…თ დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს** პირველ დაწყებით სკოლის კანონ-პროექტის **მე-54 მუხლს** იხილავენ.

ამ მუხლით სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარეობა თავად-აზნაურთა წინამძღოლებს უნდა ჩამოერთვას და ერობათა და ქალაქის საბჭოთა მიერ არჩეულ პირთ უნდა მიენდოს.

**როდიჩევის** აზრით სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარედ ისეთი პირი უნდა ინიშნებოდს, რომელსაც საზოგადოების ყველა ჯგუფები უნდა ენდობიან. ასეთი პირნი მხოლოდ ერობათა და ქალაქის საბჭოთა მიერ არჩეულნი და არა თავად-აზნაურთა წინამძღოლნი არიან, რომელნიც ერთის წოდების ნდობით არიან აღჭურვილნი. ორატორს იქვი შეაქვს ვითომც თავად-აზნაურობას კულტურულს საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღოდეთ... (აქ დეპეშა არეულია). წინამძღოლთა თავმჯდომარეობა 1864 წ. დებულებით კი არა 1874 წლის დებულებით დაწესდა: აქ თავად-აზნაურობას უსაყვედურეს. მაგრამ თანამედროვე თავად-აზნაურობა წინაპართა ცოდვებისათვის პასუხს არ აგებს.

**თავმჯდომარე** ორატორსა სთხოვს—წამოყენებულ საკითხზე ილაპარაკოს და თავად-აზნაურობას ნუ ეხება.

**როდიჩევი** „ორატორის ღირსება შოკლებული, ტრიბუნას ვტოვებ თავისუფლება შეზღუდული“.

ტრიბუნიდან ჩამოდის (მარცხნივ ხმაურობა, მარჯვნივ ყვირილი: დაიკარგე!)

**პურიშკევიჩი** (ადგილიდან) მყრალი!

**თავმჯდომარე** პურიშკევიჩს წესიერებას მოაგონებს და შემდეგს ორატორს უთმობს სიტყვას.

**მოტოვილოვი, შეჩკოვი და კრუპენსკი** თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობას ემხრობიან, მით უმეტეს, რომ თავად-აზნაურობა უმაღლესის ნებითაა მოწვეული განათლების საქმეში სამოღვაწეოდაო.

**ფილკერზამის** აზრით სწორედ დღევანდელს პირობებშია საჭირო, რომ საქმის სათავეში მტკიცე პირნი იდგნენ, რადგან დემოკრატიული მისწრაფება მეტად ფეხს იკიდებსო.

**განათლების მინისტრის ამხანაგი გეორგიევსკი** აღნიშნავს, რომ თავად-აზნაურთა წინამძღოლს მეტი უპირატესობა უნდა მიეცეთ, რადგან იგინი უფრო დამოუკიდებელი, გავლენიანი და ადგილობრივ ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან. (მარჯვნივ ტაშის ცემა).

**პეტროვი მესამე** აღნიშნავს, რომ სათათბიროს დეპუტატთა უმრავლესობა თავად-აზნაურობაა, მაგრამ ჯერ ხალხისათვის არაფერი გაურიგებიათო. ზოგიერთ ადგილებში სულაც არ მოიპოვება თავად-აზნაურთა წინამძღოლი, მაგალითად პერმის გუბერნიაში, მაგრამ სახალხო განათლების საქმე კი ჩინებულადაა დაყენებული. ხარკოვის უნივერსიტეტი, იაროსლავისა და ნეჟინის ლიცეიები, ვორონეჟისა, პოლტავისა, ორლოვისა და ორენბურგის კადეტთა კორპუსები პირწმინდად თავად-აზნაურთა ხარჯითაა დაარსებული. ორატორის აზრით, მემარცხენეებს მხოლოდ წყლის ამღვრევა სურთ: მაგრამ 1905 წლის მერე ხალხი ჭკუაზე მოვიდაო. მემარცხენეთა საქციელი მარცხვენს, განსაკუთრებით როდესაც მათს შორის სურიკოვის ინტელიგენტურ ფიზიონომიასა ვხედავ, და განსაკუთრებით მაკვირვებს ვერგონის რენეგატი, რომლის სიტყვებსაც მხოლოდ ზიზღით ვისმენო.

**მემარჯვენე** ორატორს აჩერებს.

**პურიშკევიჩი.** (თავმჯდომარეს) „განა თქვენ კი არ გეზიზღებათ?“ (ხმაურობა).

**პურიშკევიჩი.** (მემარცხენეებს მიმართავს) „თქვენ მაინც, თქვენის ვირულის ჩლიქებით ღირსი არა ხართ, რუსეთის თავად-აზნაურობა ჩასწიხლოთ“ (ტრიბუნიდან ჩამოდის. მარჯვნივ ძლიერი ტაშის ცემა, მარცხნივ—დიდი გულის წყრომა)

**ნეკლიუდოვი** აცხადებს: როდესაც ისეთ ორატორებს ვუსმენ, როგორიც მაგალითად ბულტია, გული მწყდება რომ ბატონ-ყმობა აღარ არსებობს (ხმაურობა, მარცხნივ სიცილი) მიზანი ცხადია.

**როდიჩევს** აკვირვებს, რომ მესამე სათათბიროში ბატონ-ყმობის დაბრუნებას ნატრულობენ; გონივრულ არგუმენტების უქონლობისა გამო, მუშტებამდეცა მიდის საქმე. რუსეთის თავად-აზნაურობამ რუსეთს მხოლოდ ერობის უფროსები და 3 ივნისის კანონი შესძინა. ახლა თქვენ იმისთანა წინამძღოლებს ესარჩლებით, რომლებსაც, კარგად იცით, რომ ერობანი არ ამოირჩევენ. თქვენ უნდა გახსოვდეთ ერთი რამ: რქვენ აქ გამოგზავნილი ხართ თავად-აზნაურობის ძველ უპირატესობათა დასაცველად კი არა, არამედ უმაღლესად აღიარებულ ყველა წოდებათა გამოსასარჩლებლად. თავად-აზნაურთა უმცირესობის კეთილშობილ ტრადიციებს ყოველთვის გამწარებით ებრძოდა უმრავლესობა. მე და რუსის ერი თავისდღეში არ დავივიწყებთ, რომ თავისუფლებისთვის აქტიურ ბრძოლაში პირველი ხმა თავად-აზნაურობისაგან გამოდიოდა. ახლა თქვენს წინ ორი გზაა, რამაც რუსეთის თავად-აზნაურობის ბედი უნდა გადასწყვიტოს. გახსოვდეთ, რომ სიკვდილი ორგვარად შეიძლება: ერთი—პირნათლად და ბრწყინვალედ, მეორე კი—თანდათანობით და სამარცხვინოდ. საფრანგეთის თავად-აზნაურები ისტორიულ 4 აგვისტოს ღამეს ბრწყინვალედ დაიხოცნენ. რუსეთის ერის სახელით მოგმართავთ თქვენ: დაამტკიცეთ, რომ თქვენ რუსეთის ხალხის წარმომადგენელნი ხართ და არა თავად-აზნაურთა საქმის კერძო შუამდგომელნი (ძლიერი ტაშის ცემა მარცხნივ).

**მარკოვი მეორე** ისტორიულ წლის მოციქულმა სრულიად რუსეთის თავად-აზნაურობა საჯაროთ გაკიცხა. მე ვუცხადებ თავადად ნამყოფ როდიჩევს, რომ ისა სტყუის (მოძრაობა, ხმაურობა მარცხნივ) არიან შესაბრალი, უბედური ხალხიო, რომელნიც მარცხენას მარჯვნიდან ვერ არჩევენ (სიცილი) მესამე სათათბიროში ყმებიცა სხედან, ეს—სოციალ-დემოკრატებია. ვინც იცით, თუ რანაირნი არიან სოციალ-დემოკრატები, ის მიჰხვდება, რომ იგინი ნამდვილი ყმები არიან.

საფრანგეთის თავად-აზნაურობამ 4 აგვისტოს ღამეს მეფე გაჰყიდა. სანამ აქ ერთი ნამდვილი რუსი თავად-აზნაურთაგანი მაინც იქნება, იგი თავს გასწირავს, მაგრამ თავის მეფეს კი არ უღალატებს.

რუსეთის თავად აზნაურობა—ეს ხომ რუსეთის ერის საუკეთესო ნაწილია! ყოველს თქვენთაგანს, თუ კი სამშობლოს ნამდვილი მოსამსახურენი ხართ, შეგიძლიანთ იმედი იქონიოთ თავადობის მიღებისა. როგორც რძე მსუქანსა და ნოყიერ ნაწილს ზემოდ მოიგდებს, ასე ერის საუკეთესო ნაწილიც თავად-აზნაურად გარდიქცევა. რუსეთის ერს ნალების მირთმევა ურჩევნია ნალებ-მოხდილ რძისა და, (მემარცხენეების მიმართ) მით უმეტეს, შრატის სმას. თქვენ, რომელნიც არად აგდებთ თავად აზნაურობას, გახსოვდეთ, რომ თავად-აზნაურობის გარეშე აჯანყებასაც ვერ მოახერხებთ. გახსოვდეთ, რომ თვით სატანაც ერთი მთავარანგელოზთაგანი იყო (მარჯვნივ ძლიერი ტაშის ცემა).

თავმჯდომარის ადგილს **გუჩკოვი** იჭერს.

**გეგეჭკორი მარკოვ მეორეს** უპასუხებს და აცხადებს, რომ თავად-აზნაურები მართლაც რუსეთის ხალხის მსუქან ნაწილს წარმოადგენენ, რადგანაც წურბლებივით მოჰკიდებიან ერის გულმკერდს (მარცხნივ ტაშის ცემა). სინამდვილე გვეუბნება, რომ რუსეთის ხალხი დღემდე რუსეთის თავადაზნაურთა ხელში იყო და ამის ნაყოფად 90 პროცენტი წერა-კითხვის უმეცარი შევარჩა ხელში. თავად-აზნაურობა რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებისათვის კი არა, თავის წოდებრივ გამორჩენისათვის იღვწოდა, ხოლო მთავრობა თავად-აზნაურობის ინტერესთა აღმასრულებელი იყო. მარშანდელი თავად-აზნაურთა კრებას პურიშკევიჩმა რჩევა მისცა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში გლეხის შვილებისათვის სტიპენდიებს ნუ დაარსებთ და ამით ყვავებს ფარშევანგის ფრთებს ნუ გამოაბამთო (მარცხნივ ტაშის ცემა).

**გეგეჭკორი** სიტყვას ასე ათავებს: თავად-აზნაურობის ისტორიული მისწრაფებაა, რომ ხალხის განათლება რაც შეიძლება, შეაფერხოს, რადგანაც თავად-აზნაურობა ხალხის უმეცრებაზე ამყარებს თავის კეთილდღეობას. ამისათვის თავად-აზნაურობა კი არ უნდა ეპოტინებოდეს სახალხო განათლების ხელში ჩაგდებას, არამედ ხალხის დემოკრატიულ ნაწილის ხელში უნდა გადავიდეს იგი (მარცხნივ ტაშის ცემა).

**მარკოვი მეორე** შენიშნავს გეგეჭკორს, რომ მან პურიშკევიჩის წინადადება სწორედ არ მოიყვანა.

**გეგეჭკორი** პურიშკევიჩის მიერ კრებაზე წარდგენილს და კრების მიერ მიღებულ რეზოლუციას კითხულობს და ამბობს: სათათბიროს დეპუტატი მარკოვ მეორე აშკარად გაება, რადგანაც იცრუაო.

**თავმჯდომარე** გეგეჭკორს წესიერების დაცვად იწვევს, ასეთ მკაცრ სიტყვისათვის.

**მომხსენებელი კოვალევსკი** კამათის დასკვნას აკეთებს.

მე-55 და მე-56-ს მუხლს კომისიის რედაქციით ღებულობენ. მე-56 მუხლი განმარტავს, რომ პირველ-დაწყებით სკოლების ინსპექტორს უფლება არა აქვს სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარედ იქმნეს არჩეული.

მე-57 და მე-58 მუხლსაც კომისიის რედაქციით ღებულობენ, ტიჩინინის შესწორებით, რომ სოფლის მასწავლებელთა წარმომადგენელს სამოსწავლო საბჭოში დასასწრებლად სამაზრო კრება ირჩევდეს, ხოლო ქალაქის მასწავლებელთა წარმომადგენელს ქალაქის სკოლების მასწავლებელთა კრებ[illegible].

მე-59 მუხლი განმარტავს, რომ ერობათა სამაზრო კრებასა და ქალაქის საბჭოს უფლება აქვს სამოსწავლო საბჭოში ორი წარმომადგენელი იყოლიოს. ეს მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს.

მე-60 მუხლი სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარისა და წევრთა არჩევის ვადასა საზღვრავს. ტიჩინინის შესწორებით, რომ სასულიერო წოდებისა და მასწავლებელთა წარმომადგენელნი 3 წლის ვადით ირჩეოდნენ, ეს მუხლი მიღებულია.

მე-62 მუხლი კამათს იწვევს.

**ხასმამედოვი და ენიკეევი** წინააღმდეგნი არიან, რომ სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარე და წევრთა ნახევარზე არა ნაკლები უსათუოდ ქრისტიანები იყვნენ.

**მამა იურაშკევიჩი** ბეჯითად ითხოვს, რომ ხოლმშჩინაში და ბელორუსიაში სამოსწავლო საბჭოს წევრთა ნახევარზე არა ნაკლები უსათუოდ მართლმადიდებელნი იყვნენ.

ამ მუხლს კომისიის რედაქციით ღებულობენ, მამა იურაშკევიჩის შესწორებით.

დანარჩენი მუხლები, 65, 66, 71 კომისიის რედაქციითაა მიღებული.

მე-71 მუხლს კადეტების შესწორებით იღებენ, რომ იმ ადგილებში, სადაც ერობა არაა შემოღებული, ქალაქის საბჭოებს უფლება ჰქონდეთ თავისის ხარჯით იქონიონ საბჭოები, თუ კი ქალაქს 30 მასწავლებელზე ნაკლები არა ჰყავს.

შემდეგი სხდომა ორშაბათს მოხდება.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ნოემბერი.

## საზღვარ-გარედ.

**თავრიზი.** სალმასის მახლობლად ქურთებმა ბევრი სოფლები აიკლეს. სალმასიდან თავრიზისაკენ მიმავალ გზაზე ბევრი მგზავრები დახოცეს. თავრიზის გზა შეკრულია. ხოიდან შემაძრწუნებელი ხმები მოდის. შეიხ-თახა,—რომელიც ოსმალეთის

# სიმღერა

ნეტავი რისთვის ვიცოცხლე,
რისათვის ვათენ-ვაღამე,
თუ ბოლოს ამას ვიტყოდი:
წუთისოფელო, ვაჰამე?!..

—

ნეტავი რისთვის მიყვარდი,
ვიტირე, ცრემლი ვანთხიე,
ოხვრას და ნაღველს ვსუნთქავდი,
გული ეკალსა ვახიე.
დაწუხებულმა შენსკენა
კბილით კლდეები ვარღვიე,
მარტოკა შენი სურათი
გრძნობის კალთაში გავხვიე;—
დაურგე გულსა ვარდადა,
ზედ მის ყვავილი ვარხიე...
ყაველ-გასულ თამასუქივით
შენ კი პირობა დაჰხიე:
თავი სხვის კალთაში გიძევს,
სხვას შეჰფოფინებ თვალებით.
მე დღენი უნდა დავლიო,
ხვრით, ტანჯვით და წვალებით.

ვაჟა-ფშაველა.

# რა არის შემეცნების თეორია?

საკითხი „მე“ და „მსოფლიო“, საკითხი ამ ორ ცნების ურთიერთ დამოკიდებულებისა მხოლოდ მაშინ უდგება ადამიანს წინაშე და კატეგორიულად თხოულობს მისგან პასუხს, როდესაც ადამიანი თავის სულიერ განვითარების ზრდაში იმ საფეხურამდე მიდის, რომელსაც „წარმოდგენისა“ და „ობიექტის“ განცალკევებაში ჰხედავს თავის გამოხატულებას. ჩვეულებრივ ადამიანის ცონებისთვის არსებობს მატერიალური ქვეყანა, არსებობს ადამიანიც, პირველი თავისთვის, მეორესგან დამოუკიდებლად, მეორეც—ასეთივე დამოუკიდებლობით აღჭურვილი; პირველის მოსპობა მეორის მოსპობას არ ნიშნავს ლოღიკურად, და მეორის მოსპობა პირველისას; მეორე სარკეა პირველისათვის, და როგორც სარკის მოსპობა მის პატრონის მოსპობას არ ნიშნავს, ისე სუბიექტის უარყოფა ობიექტის უარყოფას არ წარმოადგენს.—მაგრამ ბოლოს ფილოსოფიურად მოაზრე ადამიანისთვის ცხადი ხდება, რომ სუბიექტი და ობიექტი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან შეკავშირებული და იმავე დროს განცალკევებული. თუ ჩვეულებრივ, გულუბრყვილო ადამიანისთვის ყველა მისი გრძნობის ორგანოების შედეგები ობიექტია და მეტი არაფერი, ფილოსოფიურად მოაზრე ადამიანისთვის აშკარაა, რომ ეს უკანასკნელი მისი წარმოდგენანი არიან და როგორც ასეთები, წმინდა სუბიექტიური მოვლენებია; ფიზიოლოგია აშკარად გვეუბნება, რომ ტვინის განსაკუთრებული ნაწილები სხვათა შორის ადამიანის განსაკუთრებულ გრძნობის ორგანოებთან არიან მჭიდროდ შეკავშირებული, პირველთა დაშავება მეორეთა შეცვლას ან ძირიანად მოსპობას ნიშნავს; ამიტომ ფილოსოფიურად მოაზრე ადამიანი ერთხელ და სამუდამოდ ჰკარგავს გულუბრყვილო რწმენას, რომ ყოველივე მისი ნაგრძნობი იმავე დროს ობიექტია, ნივთია და მეტი არაფერი. თუ აქამდის მის შემეცნების საგანს უპირველეს ყოვლისა გარეშე მოვლენათა მიმდინარეობა, მათი არსი შეადგენდა; თუ დღემდის იგი ჰკითხულობდა, რა არის ის, რისი არსებობაც მე მრწამს, რა არის ამ მოვლენათა კალეიდოსკოპის დაუღალავ მოძრაობაში ის, რაც მოძრაობს და იმავე დროს უცვლელი რჩება; რა არის სუბსტრატი ან სუბსტანცია არსებულ მსოფლიოსი, და ამ კითხვის პასუხს თვით ობიექტიურ არსებობის ანალიზში ეძებდა (მაგალითად ისე, როგორც ქიმიკოსი ნივთთა ანალიზსა და მათ სინტეზში პოულობს ატომთა შეერთების კანონებსა ან თვით ატომებს),—დღეს იგი სულ სხვა გზას დაადგა: დღეს მის შემეცნების საგანს ყველაზედ უწინ თვით შემეცნება შეადგენს. ადამიანისთვის მსოფლიო წარმოადგენს ადამიანის სუბიექტიურ მოვლენას, რადგან შეუძლებელია რაიმე ნივთი, რაიმე მოვლენა, რომელთაც მისთვის რაიმე ფასეულობა ჰქონდეს მისგან დამოუკიდებლად; ყოველივე მოვლენა, რომელსაც მე რეალურს ვეძახი, მხოლოდ მითი ხდება ასეთად, რომ ჯერ ჩემ გრძნობათა ორგანოებში გაივლის, ყოველივე ურთიერთობა ამ მოვლენათა შორის, მათი შეფასება და მნიშვნელობა ადამიანის აზროვნების ნაყოფია,—ამ მხრით მთელი ბუნება (Natur) (რა არის ბუნება, თუ არა ნივთნი ყველა თავის თვისებებითა და მათის ურთიერთშორის დამოკიდებულებით) ჩემი „სუბიექტიურ“ ცნობიერების (Bewusstsein) მოვლენაა; გარეშე სუბიექტიურ ცნობიერებისა არ არსებობს ჩემთვის არაფერი,*) არც ნივთი, არც მისი თვისება; მაგრამ ეს სუბიექტიური მოვლენა იმავე დროს ჩემთვის რაღაც „ტრანსსუბიექტს“, რაღაც გარეშე მყოფს წარმოადგენს, რომელიც მე მაძულებს მასთან ასეთ და არა ისეთ დამოკიდებულებაში ვიყო. ამ გვარად რაღაც ერთბაშად სუბიექტიური თხოულობს, რომ მე იგი ტრანსსუბიექტიურად აღვიარო, რომ ის, რაც მხოლოდ ჩემში ხდება,—ჩემს გარეშე დავსვა, და აი სწორედ აქ იბადება საკითხი, და ეს საკითხი კარდინალური საკითხია შემეცნების თეორიისა. რა უფლებით აღვიარებ ჩემთვის სუბიექტიურს ტრანსსუბიექტიურად? რა უფლებით ვხელმძღვანელობ, როდესაც აშკარად ჩემს სუბიექტიურ „გამოცდილებას“ (Erlebniss) საყოველთაო ვალდებულებას (Algemeingultigkeit) ვაძლევ?—წარმოვიდგინოთ, რომ მთელ ჩემ სუბიექტიურ გამოცდილებათა გარდა, არსებობს რაღაც ტრანსსუბიექტიური. იმ შემთხვევაში, შესაძლებელია ამ საკითხის ახსნა, მისი პასუხის მიცემა მითი, რომ მე ამ ტრანსუბიექტიურს ვხმარობ, როგორც პირველ საფეხურს, რომელზედაც ვმაგრდები შესაძლებელ ტრანსსუბიექტიურ მსოფლიოში და აქედან ვაშენებ ან ვიკვლევ ამ უკანასკნელს, მის შესახებ სუბიექტიურად გამოთქმულ აზრს ობიექტიურ საფუძველს ვაძლევ და ამითი ყველასათვის სავალდებულო შემეცნებას ვპოულობ. მაგრამ მაჩვენეთ ისეთი რამ ტრანსსუბიექტიური, რომელიც ჩემის თვითცნობიერების დამოუკიდებლად არსებობდეს და იმავე დროს სუბიექტიური არ იყოს; ასეთის ჩვენება შეუძლებელია, რადგანაც იგი არ არსებობს, და თუ ეს ასეა, ის ძველი საკითხიც თავის ძალაში რჩება. ჩვენს წინ იხსნება უმეცრების უფსკრული, რომელმაც ადრე თუ გვიან უნდა ჩაგვნთქას, თუ შემეცნების სხვა რაიმე წყაროს ვერ მოვნახავთ. ფილოსოფიურად მოაზრე ადამიანისათვის ეს საკითხი არსებობის საკითხია, მისი უარყოფითი პასუხი—მთელ კაცობრიობისა და მის პროგრესის უარყოფაა; მისი დადასტურება—ჩვენის არსებობისა, ჩვენის განვითარების დადასტურებაა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ასეთი დადასტურება პირველ შეხედვით შეუძლებელია. შემეცნების თეორია სწორედ ის მეცნიერებაა, რომელიც ამ საკითხზე პასუხის მიცემას სცდილობს. შემეცნების თეორიის პირველი საკითხი ამგვარად, კარდინალური საკითხია, რომლის ახსნაზედაც დამოკიდებულია დანარჩენი საკითხები. სახელდობრ: არის თუ არა შესაძლებელი ყველასათვის სავალდებულო შემეცნება?

აშკარაა, რომ იმ მეცნიერებას, რომლის საგანსაც თვით შემეცნება შეადგენს, არავითარი უფლება არა აქვს რაიმე წინადვე აღებული წინადადება საფეხურად აიღოს და იმის დახმარებით იხელმძღვანელოს. ფიზიკა ან ქიმია, ან სხვა რაიმე მეცნიერება, როგორც ემპირიული მეცნიერებანი, როგორც ადამიანთა გამოცდილების განსაკუთრებულ ასპარეზის სისტემატიური შემეცნებანი, მჭიდროდ არიან თავისი საგნის ფარგლებით განსაზღვრულნი. ფიზიკა, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერება, თავის საგნად „არა პირდაპირ გამოცდილებას“ (mittelbare Erfahrung — ვუნდტის განმარტებით) იღებს, სახელდობრ იგი ირკვევს მოლეკულარულ ან მოლარულ მოძრაობის კანონებს არსებულ ბუნებრივ მოვლენებში, ამ კვლევის პროცესში იგი სარგებლობს სუბიექტის აბსტრაქციით, იგი უყურებს ბუნებრივ მოვლენებს, როგორც სუბიექტისაგან სრულებით დამოუკიდებელ ობიექტიურ კატეგორიებს, თითქოს სინამდვილეში ისე არსებობდნენ, როგორც მას ეჩვენებიან. ფიზიკის ფარგლები მის საგნის მოლარულ, ან მოლეკულარულ მოძრაობის ფარგლებია, ამ ფარგლებს გარეშე ფიზიკა აღარ არსებობს, იგი სხვა რაიმე მეცნიერება ხდება, რადგანაც ამ ფარგლებს გარეშე მისი საგანი,—მისი raison d'être-ი არ არსებობს. ამ ფარგალთა შორის დარჩენა და კვლევა-კი ნიშნავს წინადვე აღებულ აზრს, რომ საზოგადოდ შემეცნება შესაძლებელია, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ფიზიკას უნდა დაენებებინა თავი მოლარულ და მოლეკულურ მოძრაობის კანონების გამოკვლევისთვის და უპირველესად საკითხი დაესვა: არის თუ არა საზოგადოდ შემეცნება შესაძლებელი? უნაყოფო დროს კარგვა ხომ არ არის ჩემი გამოკვლევანი?—მაგრამ ამ კითხვით იგი სულ სხვა მეცნიერება გახდებოდა, რადგან თავის საგნის ფარგლებს გასცილდებოდა. ამგვარად ფიზიკა, როგორც ასეთი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც იგი წინ და წინვე დარწმუნებულია, რომ თავის გამოკვლევების საშუალებით კაცობრიობის შემეცნების სალარო მდიდრდება; როდესაც მას სწამს, რომ შემეცნება შესაძლებელია. ამ მხრით ფიზიკა და ყოველივე სხვა მეცნიერებანი წინ და წინვე აღებულ-აზრიანი მეცნიერებანი არიან. შემეცნების თეორია იკვლევს თვით შემეცნების შესაძლებლობას და თუ მას ასეთის გამოკვლევა უნდა, იგი ულოგიკობას ჩაიდენს, თუ რაიმე წინ და წინვე აღებულის აზრით ისარგებლებს, რადგანაც აშკარაა, რომ ყოველივე წინ და წინვე აღებული აზრი მხოლოდ მაშინ არის ასეთი, როდესაც მე იგი მრწამს, როდესაც მე იგი სინამდვილედ მომაჩნია, ესე იგი, როდესაც თვით შემეცნებას (ამ აზრით გამოხატულ შემეცნებას მაინც) შე-

*) ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ მე ვითომ აქ ეგრედ წოდებულ „იმმანენტურ ფილოსოფიის“ ან „კონსციენციალიზმის“ შემეცნების თეორიას ვაწვდი. მე დარწმუნებული ვარ, რომ შუპეხი და შუბერტ-ზოლდნერის იმმანენტური ფილოსოფია, რომლის ცენტრალურ წერტილსა და საფუძველს ცნობიერების იმმანენტობა წარმოადგენს, მხოლოდ ისტორიული გაუგებრობა არის და მთლად ეგრედ წოდებულ „ბერკლეს დოგმაზეა“ დამყარებული, რომელიც დაახლოვებით ასე ლაპარაკობს: ყოველივე ტრანსცენდენტური სუბიექტს გარეშეა, შემეცნება კი სუბიექტიური აქტია, მაშ ტრანსცენდენტის შემეცნება შეუძლებელია. მე აქ ვხმარობ მათ არგუმენტებს მხოლოდ მეთოდიურის მოსაზრებით, რომ ნათლად გავარკვიო შემეცნების თეორიის პირველი საკითხი, როგორც სკეპტიკურ აზროვნების აუცილებელი შედეგი, საკითხი შემეცნების შესაძლებლობისა. დ. უ.

მიერ დაპყრობილ ადგილების მფლობელად აცხადებს თავის თავს,—ასის ცხენოსანით აქ მოვიდა. მიზანი არ იციან.

**ვენა.** ჩიარიკში 200 ოსმალელი ასკერი მივიდა.

**პარიზი.** როშეტის საქმის თაობაზე პარლამენტის გამომძიებელმა კომისიამ რეზოლუციის პროექტი შეიმუშავა. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ 1908 წ. შინაგან საქმეთა მინისტრი სასამართლოს საქმის წარმოებაში ჩაერია და იუსტიციის მინისტრის დაუკითხავად, ამ საქმეზე მიწერ-მოწერა გამართა. მომჩივნის შოვნის მერე, პოლიციის უფროსმა საქმე ბრალმდებელს გადასცა. რეზოლუცია აღნიშნავს, რომ ბრალმდებელმა პენშერის საჩივრის გამო მოჰკიდა საქმეს ხელი.

**პეკინი.** რადგანაც ჩინეთის მხრივ დაბრკოლება აღმოჩნდა, ამერიკაში სესხის მოლაპარაკება შეაჩერეს.

**თეირანი.** გარეშე საქმეთა მინისტრი, სრულს საზეიმო ფორმაში, ესტუმრა რუსეთის დესპანს და მთავრობის სახელით, კაზანში რუსეთის ბაირაღის შეურაცხყოფისათვის, ბოდიში მოიხადა. მინისტრმა ამასთანავე რუსეთის დესპანს ჩეკი გადასცა, რუსეთის სააგენტოს ზარალის ასანაზღაურებლად.

**ისპაჰანი.** თეირანიდან მოსულ ბრძანებისამებრ ენჯუმენმა მიტინგი მოახდინა სპარსეთში უცხოელთა ჯარის ყოფნის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. მიტინგი კონსტიტუციის მოწინააღმდეგე ბრბომ გაფანტა.

**ბელგრადი.** 18 ნოემბერს სკუპშჩინის სხდომაზე, 94 ხმით 22 წინააღმდეგ ავსტრო-სერბიის სავაჭრო ხელშეკრულება მიიღეს. მილოვანოვიჩმა ახალ ხელშეკრულების სასარგებლო მხარეები აღნიშნა. დღევანდელი ვითარება სერბიას იძულებულ ჰყოფს მშვიდობიანობის დამყარებას ესწრაფებოდეს და ბალკანეთის სახელმწიფოებთან კეთილგანწყობილება იქონიოსო. ამისი უტყუარი საბუთი დღევანდელი ხელშეკრულებაა, რომელიც სერბიასა და ავსტრო-უნგრეთის შორის ეკონომიურს მშვიდობიანობას ამყარებს. სერბიას, ამ ხელშეკრულობის წყალობით, შეუძლიან თავისი ეკონომიური, კულტურული და სამხედრო ძალები გააძლიეროს.

**ლონდონი.** მომავალ არჩევნებისათვის გაზეთები ამომრჩევლებს გაერთიანებისაკენ იწვევენ. უნიონისტები აღნიშნავენ, თუ რა მნიშვნელობა ექნება ლონდონში 10 გამარჯვებას. შაბათს სულ უნდა აირჩიონ. დღეს არჩეულად გამოაცხადებენ 11 უნიონისტსა და 3 ლიბერალს.

**ლისაბონი.** დიდის ამბით იდღესასწაულეს პორტუგალიის ესპანიიდან განთავისუფლების წლის თავი. რესპუბლიკის დროშები ფრიალებდა.

**ლონდონი.** შუადღის 12 საათამდე 10 მინისტრი აირჩიეს: მინისტრად ნამყოფი უინდგემი, ჩემბერლენი, ოთხი ლიბერალი, სუტიდან კონსერვატორები აირჩიეს—ბალფური და დენბერი.

**რომი.** დეპუტატთა პალატა. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, გარეშე საქმეთა მინისტრმა სან-ჯულიანომ განაცხადა, რომ იტალიას გულითადი განწყობილება აქვს საფრანგეთთან, ინგლისთან და რუსეთთანაო.—ჩვენა გვსურს, რომ ოსმალეთმა სრულს გამგეობაში შეირჩინოს ტრიპოლისი, ხოლო იტალია ვერ მოითმენს, თუ სხვათა გავლენასაც დაექვემდებარება ტრიპოლისიო. იტალიის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები ოსმალეთის ინტერესებს ეთანხმება. სასურველია რომ ახალის გზების გაყვანით ოსმალეთმა თავისი შინაური საქმეები მოაწესრიგოს და უზრუნველ-ჰყოს. მთავრობა ახლა საერთაშორისო კონფერენციის მოწყობაზე ზრუნავს. კონფერენცია რომში შეიკრიბება.

**რ უ ს ე თ ი**

**ბაქო.** მოსკოვ-კავკასიის ამხანაგობის ნავთის საწარმოვო ადგილებში შადრევანმა იფეთქა, დღე-ღამეში 300 ათასი ფუთი ნავთი ამოდის.

**პეტერბურგი.** გზათა მინისტრმა სახელმწიფო სათათბიროში კანონპროექტი წარადგინა, რომლითაც რკინის გზებზე უბილეთო მგზავრებს სისხლის სამართალში მისცემენ.

**ხარკოვი.** საღამოს 6 საათზე პატიმართა განყოფილების საზეინკლოდან 3 კატორღელი გაქცევას შეეცადა. რკინის კეტით მოჰკლეს ორი მეთვალყურე, კარის გასაღები და რევოლვერს წაართვეს და ციხის ეზოში გაცვივდნენ, სადაც ერთი მეთვალყურე კიდევ მოჰკლეს, სამი სასიკვდილოდ დასჭრეს. ციხის გალავანზე გადასვლის დროს, ოთხი ტუსაღი მოჰკლეს. დანარჩენი 96 ტუსაღი მუშაობას განაგრძობდა და მომხდარ ამბავს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ტუსაღები კამერებში შეამწყვდიეს. წესიერება პალატის ბრალმდებლის წარმომადგენელმა აღადგინა.

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **დაპატიმრებულთა ბედი.** როგორც მკითხველებმა იციან, აგერ მეშვიდე თვეა, რაც რამდენიმე ქართველი მოღვაწე და მწერალი დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა ბედი უკვე გამოირკვა. კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, კავკასიის საზღვრებიდან ხუთ-ხუთის წლით ადმინისტრატიულის წესით იგზავნებიან: შაქრო ბილანაშვილი, ქაიხოსრო ქავთარაძე, მიშა ადამაშვილი და მიშა ხუციშვილი; გიორგი ლასხიშვილი იგზავნება 3 წლით, სამსონ ფირცხალავა—4 წლით, ხოლო „დროების" რედაქტორმა ილია აგლაძემ პირველად ერთი წელიწადი და ორი თვე უნდა გაათაოს ციხეში, თანახმად სასამართლოს გადაწყვეტილებისა და შემდეგ იგიც გადასახლებულ იქმნება ორის წლით. ამ პირთაგან გუშინ, 20 ნოემბერს, განთავისუფლებულ იქმნენ, გენერალ გ. ყაზბეგის თავმდებობით, ს. ფირცხალავა, გიორგი ლასხიშვილი და ქ. ქავთარაძე, რომელნიც მოვალენი არიან, ორის კვირის განმავლობაში კავკასია დასტოვონ; კ. ონიკაშვილს, როგორც სპარსეთის ქვეშევრდომს, კავკასიიდან სამუდამოდ ასახლებენ.

✦ **ქართული წარმოდგენა.** დღეს, 21 ნოემბერს, ქართულს თეატრში წარმოდგენილ იქმნება სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ღალატი". წარმოდგენა მეტად საინტერესო იქმნება, რადგან ზეინაბის როლს ასრულებს ნიჭიერი მსახიობი ქალი ნინო ჩხეიძე, ხოლო სოლეიმანს ითამაშებს ლადო მესხიშვილი.

✦ **უწესრიგო იჯარა.** გუშინ წინ რედაქციაში შემოვიდა ორი მეჯვრისხეველი გლეხი ზაქარია უმიკაშვილი და ვანო ბერიანიძე და გვთხოვა აღვნიშნოთ შემდეგი: მათ იჯარით აღებული ჰქონიათ ს. მეჯვრისხევში სახელმწიფო საადგილმამულო ბანკის მამული 27 დეს. რომლის მოურავი გ. ჩიკვაიძე პირობით დესეტინაზე სამ-სამს მანეთს ახდევინებდა აქამდის. ახლა-კი წლიურ შვიდ თუმნის ნაცვლად 200 მან. გადაუხდევინებია. საჭიროა, ამ უსამართლობას ყურადღება მიაქციოს, როგორც სახელმწიფო საად. მამ. ბანკმა, ისე მისმა მოურავმა ბ-ნმა ჩიკვაიძემ.

✦ **ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებაში.** 50 წლის არსებობის გამო ამ საზოგადოებას შესწირეს: კავკასიის ნამესტნიკმა და მისმა მეუღლემ — 5.000 მანეთი, მოსკოვის მიტროპოლიტმა ვლადიმერმა და ყაზანის არქიეპისკოპოსმა ნიკონორმა თითომ 500 მან., ხოლო ხარკოვის არქიეპისკოპოსმა 100 მან.

✦ **განჯიდან ტფილისში გადმოფრენა.** როგორც ეტყობა, ავიატორი ვასილიევი ტფილისელთ დიდს სენსაციის უმზადებს. მას საბოლოოდ გადაუწყვეტნია, დღეს, 21 ნოემბერს, დაახლოვებით ნაშუადღევის პირველს საათზე განჯიდან ტფილისში გადმოფრინდეს. წინასწარ გამოანგარიშებით, ტფილისში ვასილიევი მოფრინდება ნაშუადღევის 3 საათსა და 4 საათს შუა. კავკასიის მფრინავთა ჯგუფმა დაადგინა, ავიატორს ვასილიევს დიდუბის საჯირითო მოედანზე შეეგებოს. მანამ ვასილიევი ტფილისში მოფრინდებოდეს, დიდუბის მოედანზე იფრენს მეორე ავიატორი ვ. ს. ქებურია. ფრენის მთელი შემოსავალი გადაიდება ტფილისში საავიაციო სკოლის მოსაწყობად.

✦ **მიწების გაყიდვა გლეხებზე შეღავათიანის პირობებით.** მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის მოხსენების თანახმად, უმაღლესად დამტკიცებული იქმნა დაღესტანისა, ბათომისა, ყარსისა, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებში მდებარე იმ მიწების სია, რომლებსაც შეღავათიანის პირობით გლეხებს მიჰყიდიან. ამ მამულის მყიდველთ ბაჟები და სხვა გადასახადები არ გადახდებათ.

✦ **მთავრობის მამასახლისთა ინსტიტუტის გაუქმება.** უმაღლესმა მთავრობამ შესაძლებლად იცნო მთავრობის მამასახლისთა ინსტიტუტი გაუქმებულ იქმნეს გორის მაზრის შემდეგს სასოფლო საზოგადოებებში: კარალეთისა, ტყვიავისა, ფლავისა და ფლავისმანისაში. მცხოვრებთ დღეიდან უფლება ეძლევათ მამასახლისი თვით აირჩიონ.

✦ **სამტრედია—ხონის გზის შექეთება.** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა ნამესტნიკის საბჭოს დადგენილება, რომლითაც 3.200 მანეთი უნდა გადაიდოს სამტრედია—ხონის გზატკეცილის შესაკეთებლად.

✦ **ტფ. ქალაქის გამგეობის წევრის არჩევა.** ხვალ, 22 ნოემბერს, ქალაქის საბჭო აირჩევს გამგეობის წევრს. როგორც გამოირკვა, ხმოსანთა უმრავლესობა მომხრეა ამ თანამდებობაზე ი. ს. ჯაბადრის კანდიდატურა წამოაყენოს. კანდიდატის დასასახელებლად ამ დღეებში კერძო თათბირი ჰქონდათ იმ ხმოსნებს, რომელნიც თავიანთს თავს ოპოზიციას უწოდებენ. ამ ჯგუფში სულ 16 ხმოსანია. კერძო თათბირს დაესწრო 12 კაცი. მათაც გადასწყვიტეს, თავიანთ კანდიდატად ი. ს. ჯაბადარი წამოაყენონ.

✦ **რედაქტორის საქმე.** ხვალ, 22 ნოემბერს, ტფ. სასამართლო პალატა, წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, გაარჩევს საქმეს ჩვენის გაზეთის რედაქტორ-გამომცემელ იროდიონ სონღულაშვილისას, რომელიც სამართალში მიცემულია სისხლის სამართლის მე-129 მუხლის პირველ პუნქტის ძალით.

✦ **მთავრობის მამასახლისები გურიაში.** კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, მთავრობის მამასახლისები და ხუთ-ხუთი ჩაფარი მათთან დაინიშნა გურიის შემდეგს სასოფლო საზოგადოებებში: ამაღლებისა, ბახვისა, ასკანისა და ლანჩხუთისაში. სოფლებისგან ეძლევათ თითო მამასახლისს—75 მან. თვეში, ხოლო ჩაფარს—35 მან.

✦ **დედათა ეპარქიალურ სასწავლებლის დახურვა.** ავადმყოფობის გაჩენის გამო ტფ. დედათა ეპარქიალური სასწავლებელი დროებით დაიხურა.

✦ **ტფ. საბაღოსნო სკოლაში.** ამ დღეებში სკოლის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, შეტანილ იქმნეს მომავალ სამის წლის (1912—1914 წ.წ.) საერობო ხარჯთ-აღრიცხვაში ის 3,000 მანეთი, რომელიც შემწეობად ეძლევა საბაღოსნო სკოლას.

✦ **ქართველ მომღერალთა ახალი ჯგუფი.** როგორც გავიგეთ, ტფილისში შესდგა პატარა წრე ახალგაზდა მომღერლებისა, რომელთაც აზრადა აქვს შეისწავლოს ქართული ეროვნული სიმღერები და ეკლესიური გალობა ბ-ნ მიხეილ კავსაძის ლოტბარობით, შეიძინოს აგრეთვე ეროვნული ტანთსაცმელი (ქულაჯები და გლეხური) და შემდეგ შეუერთდეს ახლად დაარსებულ „სანთური"-ს საზოგადოებას. იმედია, ამ პატარა სიმპატიურ საქმეს, აქედანვე ხელს შეუწყობენ, როგორც „სანთური"-ს საზოგადოება, ისე სხვებიც.

✦ **ტყის გაშენება ფეთჰაინის გორაკზე.** ბატანიკურ ბაღის დირექტორმა ა. ხ. როლლოვმა შუამდგომლობა აღძრა, გადადებულ იქმნეს ფული ფეთჰაინის გორაკზე მოსარწყავ წყალის გასაყვანად და ნაძვის გასაშენებლად.

✦ **ტფ. ქალაქის უძრავ ქონებათა შეფასება.** ქალაქის უძრავ

---

საძლებლად ვსცნობ. შემეცნების თეორიის Raison d'être-ი შემეცნების შესაძლებლობის გამოკვლევაა, წინ და წინვე აღებული აზრი კი შემეცნების შესაძლებლობის აღიარებაა; მაშ ამ უკანასკნელის უკრიტიკოდ მიღება შემეცნების თეორიის თვითმკვლელობაა, თვითმოსპობაა. ამიტომ შემეცნების თეორია წინ და წინვე აღებულ-აზრიანი მეცნიერება ვერ იქნება (იხ. Wolcelt. Enfahrung und Denken). პირიქით, იგი ისეთი მეცნიერება უნდა იყოს, რომელიც თვითონ იკვლევს სხვა მეცნიერების წინ და წინვე აღიარებულ აზრებს და მათის შეფასებით თვით მეცნიერების არსებობის უფლებას ადასტურებს, ან უარჰყოფს.

ეს შეფასება არა მარტო მეცნიერებათა წინად აღიარებულ აზრებს ეხება, არამედ მის კომპეტენციაში შედიან აგრეთვე ის შედეგები, რომლებიც მეცნიერებას თავის გამოკვლევებით მოაქვს. შემეცნების თეორია, როგორც მსაჯული, სწონის და აფასებს მეცნიერებათა ნაყოფთ ჰხედავს შემეცნებისთვის მათს ღირებულებას ან, უკეთ რომ ვსთქვათ, მათ შემეცნებითს მნიშვნელობას.

როდესაც კარდინალური საკითხი შემეცნების თეორიისა, საკითხი შემეცნების შესაძლებლობისა უკვე დადასტურებით იხსნება, მაშინ შემეცნების თეორეტიკოსს წინ უდგება მეორე საკითხი, შეიძლება ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორიც იყო პირველი,—საკითხი იმისა, თუ რომელია ის წყაროები საიდანაც შემეცნება მომდინარეობს, საკითხი შემეცნების წყაროების შესახებ. როდესაც ჩემს წინ სდგას მსოფლიო, რომელიც დაჟინებით თხოულობს ჩემგან პასუხს: რა ვარ მე, რა ხარ შენო? როდესაც მებადება დაუოკებელი მისწრაფება შემეცნებისკენ, მე ძლიერებურად უნდა მივმართო იმ წყაროებს, რომლებიც ჩემი შემეცნების განხორციელებას შესაძლებელ ჰყოფენ; სადაა ის რაღაც, X-ი, რომლის ანალიზი ან სინტეზი აუცილებელ რეზულტატად შემეცნებას მომცემს? არის ეს X-ი თვით ბუნება ჩემგან დამოუკიდებლად, თუ ასეთი რამ „მე" ვარ, მისგან დამოუკიდებლად? ვარ მე ობიექტი, სწორედ ისე, როგორც იგი ეხლა ჩემს წინა სდგას, ემპირიული ობიექტი, თუ სუბიექტი არის გადამწყვეტ მნიშვნელოვანი ამ საკითხის ახსნაში? ან შეიძლება ორივე,—როგორც ობიექტი, ისე სუბიექტი,—იღებს მონაწილეობას ჩემ შემეცნების პროცესში, როგორც მისი წყაროები? სანამ ეს საკითხები გადაჭრით პასუხს არ მიიღებენ, სანამ შემეცნების წყაროები ერთხელ და სამუდამოდ არ იქმნებიან გამორკვეული, მანამ შემეცნება ერთ წერტილზე სდგას, იგი წინ აღარ იწევს ან და, უკეთ ვსთქვათ, იგი არ არსებობს დანამდვილებით, იგი ჯერ-ჯერობით მხოლოდ შესაძლებელია, პოტენციურია. ამგვარად აშკარაა, რომ მეორე საკითხი შემეცნების თეორიისა, საკითხი შემეცნების წყაროების შესახებ თითქმის ისეთივე მნიშვნელოვანი ყოფილა, როგორიცაა საკითხი შემეცნების შესაძლებლობისა ამიტომ ყოველი შემეცნების თეორია, თუ კი იგი მართლაც ასეთი უნდა იყოს, აუცილებლად აყენებს ასეთ საკითხს და სცდილობს მას ასე თუ ისე ანგარიში გაუწიოს.

მაგრამ ამ ორის საკითხის გადაჭრით და მეცნიერებათა ნაყოფების შემეცნებით ის მნიშვნელობის შეფასებით არ თავდება შემეცნებითი პროცესი; იბადება ახალი საკითხი შემეცნების წარმოშობის შესახებ.—ცნება, შემეცნების წარმოშობა, უმთავრესად სამგვარად შეიძლება გარკვეულ იქმნას:

I. როდესაც შემეცნების თეორეტიკოსი თავის მიზანს პოულობს ცნობიერების ფორმების: ცნებისა, სჯისა, დასკვნის აღორძინებისა და მათ კანონების გამოკვლევაში, და ამითი შემეცნებას, როგორც ფსიხოლოგიურ მოვლენას, თავის რეფლექსიის საგნად ჰხდის. როდესაც იგი ამ ფსიხოლოგიურ მოვლენების „დროულ ქმნას, მათ გენეზისს ინდივიდუალურ და გენერალურ განვითარების მიმდინარეობაში" თავის გამოკვლევის საგნად ჰქმნის, მაშინ იგი მხოლოდ პირდაპირსა ან წმინდა გამოცდილებას იკვლევს, როგორც შემეცნების შინაარს; მისი უმთავრესი მიზანი კონკრეტულ შინაარსიანი შემეცნება და მისი წარმოშობაა და არა ყოველ ადამიანისა და ყოველ შინაარსისთვის სავალდებულო შემეცნება,—მაშინ იგი შემეცნების ფსიხოლოგიურ წარმოშობას იკვლევს; ეს უკანასკნელი კი ძირიათადად განირჩევა შემეცნების „ლოგიკურ" წარმოშობისაგან, რომელიც მხოლოდ უნდა გვაინტერესებდეს და გვაინტერესებს კიდეც შემეცნების თეორიის გარკვევის დროს.

II—არის კიდევ მეორე გზა, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლიან ვიპოვოთ, როდის, ადამიანის კულტურულ განვითარების რომელ საფეხურზე წარმოიშვა რაიმე გარკვეული შემეცნებითი ფორმა, რა მიზეზებმა წარმოშვეს იგი და სად, ან როგორი, არიან ის ნიშნები, რომლებიც საზოგადოების განსაზღვრულმა კულტურულმა ხანამ დაასვა წარმოშობილ შემეცნებითს ფორმებსა? აშკარაა, რომ ასეთ გამოკვლევასთან შემეცნების ლოგიკურ წარმოშობას არაფერი საერთო არა აქვს; ეს უკანასკნელი გზა შემეცნების ისტორიულ წარმოშობის სახელით შეგვიძლიან დავახასიათოთ.

III.—დაგვრჩა მესამე და უკანასკნელი გზა, გზა შემეცნების ლოგიკურ წარმოშობისა, და აი სწორედ ეს გზაა, რომ ჩვენ ეხლა გვაინტერესებს. რა არის შემეცნება? ამ ცნების დაწვრილებითი გარკვევა ჯერ-ჯერობით უადგილოდ მიგვაჩნია. ვიტყვი მხოლოდ გაკვრით, რომ შემეცნება რაიმე საგნისა ან მოვლენისა სხვა არაფერია, თუ არა ჩემს არსებულ გამოცდილებაში ამ საგნის ან მოვლენის შესაფერ ადგილის მოპოება, ნახვა, მისის სხვა რომელიმე ფართო, ნაცნობ ცნების ქვეშ სუბსუმცია. ასეთია შემეცნების დეფინიცია ფსიხოლოგიურად. ლოგიკურ მნიშვნელობას კი შემეცნება მხოლოდ მაშინ იღებს, როდესაც მე იმას. სახელდობრ მაზე გამოთქმულ სჯას, მართლად მივიჩნევ. ამგვარად აშკარა ყოფილა, რომ ყოველ შემეცნების აქტის აუცილებელი პირობები — სუბიექტია, რომელიც მსჯელობს, და ობიექტი (საგანი ან მოვლენა) წმინდა გამოცდილება ცდა ყოფილა. მაგრამ შემეცნება არ არის ცოდნა: ვინ არ იცოდა მაგალითად პირდაპირ მოძრაობის თანდათანობით სისწრაფის ზრდა! კაცობრიობამ ეს თავის არსებობის პირველ ხანიდანვე იცოდა, მაგრამ მისი შემეცნება მას არ ჰქონდა, მან არ იცოდა, რომელ კანონებს ემორჩილებოდა ეს მოვლენა, არ იცოდა ადგილი ამ მოვლენისა მთელ მის შემეცნებულ გამოცდილებაში, მან უკანასკნელ (17-ე საუკუნემდე) არ იცოდა, რომ ეს კანონი შემდეგის ფორმულით იხატება: $v^2=2as$; ან და, სიტყვებით რომ გამოვსთქვათ, „სისწრაფის კვადრატი უდრის ყოველ გზის სიგრძეზე გამრავლების ორჯერ მეტ პროდუქტს (v. Lommel, Experim. Physik. S. 11). ასეთია შემეცნება. როდესაც მე მიზნად შემეცნების ლოგიკურ წარმოებას ვისახავ. აშკარაა, რომ ჩემი გამოკვლევა მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი, როდესაც ვარკვევ, ასე ვსთქვათ, შემეცნების ნაწილებსა და ვამბობ: აი ეს ნაწილი მხოლოდ სუბიექტს ეკუთვნის, მის გონების კანონიერობის ნაყოფია. ობიექტმა კი აი ეს ნაწილი წარმოშვა; ან და ვამბობ: მთელი შემეცნება თურმე სუბიექტის ნაყოფი ყოფილა, თურმე ობიექტი აქ არავითარ როლს არ თამაშობს, ეს კი არა, თვით ობიექტიც გაჰიპოსტაზებული სუბიექტი ყოფილა! ამ შემთხვევაში მე უკვე მიდგას თვალწინ შემეცნების ლოგიკურ წარმოშობის გამოკვლევა, წარმოშობა, რომელიც ერთ განსაზღვრულ შინაარსზე კი არ არის მიკრული, არამედ ყოველ შესაძლო შინაარსისთვის შეიძლება მოხმარებულ იქმნას. ასე უნდა იყოს შემეცნების ლოგიკური წარმოშობა გაგებული და მხოლოდ მაშინ შეიძლება შემეცნების თეორეტიკოსმა მიაღწიოს თავის მიზანს.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ შემეცნების თეორია ისეთი მეცნიერება ყოფილა, რომელიც ჰკითხულობს: არის თუ არა შემეცნება შესაძლებელი, სადაა შემეცნების წყაროები, როგორია შემეცნების წარმოშობა? რომ იგი თვით არავითარ წინადვე დადგენილ აზრს არ იღებს და სხვა მეცნიერებათა წინადვე აღიარებულ აზრებისა და მათ ნაყოფების შემეცნებითს მნიშვნელობას აფასებს. მაგრამ თავდება ამით შემეცნების თეორიის ამოცანა? აშკარა, რომ ის მეცნიერება, რომელიც შემეცნების თვითცნობიერებას წარმოადგენს, არ იქნება დამთავრებული, თუ შემეცნების ფარგლებს არ გაარკვევს; ერთხელ და სამუდამოდ არ აღიარებს, აქვს შემეცნებას ფარგლები, თუ იგი განუსაზღვრელია, შეუძლიან ადამიანს მთელ არსებობის შემეცნება, თუ მის შემეცნების საგნებს მხოლოდ განსაზღვრული მოვლენები შეადგენს?

როდესაც ადამიანის წინ სდგას მთელი ბუნება ყველა თავის მოვლენებითა, მათის ცვალებადობითა და ნივთთა დროულის აღორძინებით, განვითარებითა და დაღუპვით, ერთის სიტყვით, როდესაც ადამიანს მთელ თავის სიცოცხლეში ცვლილებათა კალეიდოსკოპი უდგას თვალწინ,—რასაკვირველია, მას ბუნებრივად ებადება საკითხი სუბსტანციურ არსებობის შესახებ და იგი მიისწრაფის უპასუხოს ამ კითხვას: მეტაფიზიკა რელიგია და ხელოვნება საგი შესაძლო პასუხია ამ საკითხისა, მხოლოდ სხვა და სხვა ელფერით; მაგრამ, როგორც მეტაფიზიკა, ისე რელიგია და ხელოვნებაც დადასტურებით პასუხს გვაძლევენ ამ კითხვაზე და სამს შემეცნებით ფორმებსა წარმოადხენენ სუბსტანციურ არსებობისას, ფილოსოფიის ისტორიამ იცის ისეთი შეხედულებანი, რომელნიც უარჰყოფდნენ სუბსტანციურ არსებობისა და შემეცნების შესაძლებლობას, ასეთია მაგალითად ემ. კანტის ფილოსოფია. შემეცნების თეორია სწორედ ამ კითხვის ახსნას სცდილობს, როდესაც იგი ეჭვიანობს შემეცნების უსაზღვრობაში, და ამიტომაც ჰკითხულობს: **სად არიან შემეცნების ფარგლებიო?**

ამ უკანასკნელ კითხვითა და მისის პასუხით მთავრდება შემეცნების თვითცნობიერების სისტემა. ამითი თავდება შემეცნების საგნისა და ამოცანის დახასიათებაც.—დაგვრჩენია მხოლოდ საკითხი შემეცნების თეორიის მეთოდისა და მის სხვა მეცნიერებებთან დამოკიდებულების შესახებ.

ყველა ზემო ნათქვამიდან პირველ შეხედვით შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ შემეცნების თეორიას, როგორც მეცნიერებას, რომელიც თვით

ქონებათა შემფასებლები ამ დღეებში დაასრულებენ მუშაობას ქალაქის მერვე უბანში და მომავალ კვირას ავლაბარში შეუდგებიან ქონებათა შეფასებას.

✦ **ისტორიულ ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში**. დღეს, 12 საათზე, თავად აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში მოხდება საქართველოს ისტორიულ ეტნოგრაფიულ საზოგადოების წევრთა წლიური კრება. ე. ს. თაყაიშვილი წაიკითხავს რეფერატს: „სამეფო კარის გარიგება საქართველოში". განხილულ იქნება: 1) საზოგადოების 1909 წლის მოქმედების ანგარიში; 2) საზოგადოების 1909 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში; 3) 1910 წლის სავარაუდო ანგარიში; 4) არჩევნები საზოგადოების საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრებისა 5) არჩევნები საზოგადოების ახალი წევრებისა. კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

✦ **საბავშვო კითხვა**. კვირას, 21 ნოემბერს, ავჭალის აუდიტორიაში ქ-ნი დიდია გამართავს საუბარს მიწაზე. დასაწყისი 11 საათზე.

სამკურნალო შენობაში ქ-ნი ჟორდანია წაიკითხავს წყალში მცურავ ძაღლებზე. დასაწყისი 11 საათზე.

ნავთლუღში ბ-ნი ლაშქარიშვილი — ექიმი გაიზი".

ხარფუხში ქ-ნი ასათიანი—„მეფე ერეკლე და ინგლისი ქალი". აჩვენებენ ბუნდოვან სურათებს. დასაწყისი 11 საათზე.

✦ 19 ნოემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 33 უპასპორტო.

# მოწერილი ამბები

**კოდორის ნაწილი.** (სოხუმის ოლქისა). ეგრედ წოდებულ მფრინავ რაზმს (სოფლის ყარაულებს). რომელიც აქ მოქმედობას ქურდობს მოსასპობად, ამ გიორგობისთვეს წლის ვადა უთავდებათ. ამიტომ კოდორის ნაწილის ყველა წოდებათა წარმომადგენელთ კრება ჰქონდათ დ. ოჩამჩირეში 10-სა და 11 გიორგობისთვეს. არჩევდნენ საკითხს—იყოლიონ ეს რაზმი თუ არა, თავად-აზნაურობას ამ რაზმის უფროსი ბ. ზვენელიძე არ სურს რაზმის უფროსად, ხოლო გლეხების უმრავლესობა იმაზედ ამყარებს თავის იმედსა. ახლანდელი კრება ვერავითარ დასკვნას ვერ დაადგა ამ საგნის შესახებ. გადასწყვიტეს მხოლოდ: ჯერ ხანად დარჩეს რაზმი, ხოლო მოკლე დროში მოიწვიონ ოლქის უფროსი და მასთან ერთად იქონიონ მსჯელობა ქურდობის მოსპობ ღონისძიებათა შესახებ.

რაც ქურდები და აგ-კაცები დარწმუნდებიან, რომ ეს რაზმი მოისპობა, უეჭველია, აქ ქურდობა-ავაზაკობაც მოიმატებს. ამის ნიშნები ახლაც არის 12 ამ თვეს ს. ფოქვეშიდან შინ (ს. აკვასქეში) მიდიოდა მოგაჭრე ბ. მ—ი რომელსაც ბოროტ-განმზრახველმა ტყიდან ესროლა და მიიმალა. ამბობენ, ზემოხსენებული ვაჭარი მხოლოდ ხელში მსუბუქად დაიჭრაო. ამისთანა შემთხვევა ბევრი ხანია, რაც აქ არ მომხდარა. ამიტომაც არის, რომ „კამანდის" შესანახ ფულის გადახდას არაფრად აგდებდა და დაუბარებლად იხდიდა გლეხ კაცობა. რა მოგვილის შემდეგაო? გულდაწყვეტით ეკითხებიან ერთმანეთს სულელები. ასეა თუ ისე ქურდობა-ავაზაკობის წინააღმდეგ რაიმე ზომების არ მიღება აქ შეუძლებელია.

12 ნოემბრის დღეს, მაგრამ ზოგან ახლაც იკრიფება ყურძენი „ადესა". ყურძენი მაინც ვერ არის რიგიანად მწიფე.

გენერ. ტიზენგაუზენი ამ თვის პირველ რიცხვებში ჩამოვიდა დ. ოჩამჩირეში და რამდენიმე დღე დარჩა აქ სენაკ-ტყაფსეს რკინის გზის საქმის თაობაზე. აქაც საკმაოდ ხელი მოაწერეს. აქედან გენერალი სოხუმისკენ გაემგზავრა. Sch

# თეატრი და ხელოვნება

**ნინო ჩხეიძე გასტროლი „ლალატში"**. დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ლალატი" გრ. ყიფშიძის თარგმანი. მთავარ როლს დედოფალ ზეინაბისას შეასრულებს ჩვენი სცენის ერთი უნიჭიერესი მსახიობი ქალი ი ჩხეიძე. ჯერ ხანად ქართულ სცენას ჩხეიძის ქალზე უკეთესი ამსრულებელი ზეინაბის როლისა არავინ მოუპოვება. სულეიმანხანის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი, რომელიც ამ როლში არ გამოსულა აგერ ხუთ წელიწადზე მეტია. ოთარბეგს ასრულებს ვ. გუნია რომელსაც ამ როლში ბადალი არა ჰყავს. ბესოს როლს შეასრულებს ვ. აბაშიძე დანარჩენ როლებს ასრულებენ ახალ გაზდა მსახიობნი: რუქაიას—პიერეტა, ირაკლისა—მგალობლიშვილი, დათოს—მდივანი, პიესას რეჟისორობს ვლ. მესხიშვილი, ამ წარმოდგენისთვის ბილეთები როგორც გადმოქვცეს, თურმე კარგად იყიდება, ასე რომ იმედია, დღეს ქართულ თეატრის დარბაზი სავსე იქნება მაყურებლებით.

**ლევ ტოლსტოის პატივსაცემო საღამო.** ქართ. დრამატიულ საზოგადოების გამგეობას განუზრახავს ლევ ტოლსტოის პატივსაცემად საღამოს გამართვა, წარმოდგენილი იქნება ტოლსტოის შესანიშნავი პიესა „მეუფება წყვდიადისა", რომელიც თითქმის ოცი წელიწადი აკრძალული იყო სცენაზე დასადგმელად. მთავარი როლები განახლებული იქნება ჩვენის დასის უმთავრესს ძალთაშორის. პიესას სდგამს ვლ. ალექსი-მესხიშვილი, რომელსაც ეს პიესა არა ერთხელ დაუდგამს თურმე რუსულ სცენებზე.

**ქიათურა.** კვირას, 14 ნოემბერს, ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოების სცენის მოყვარეთა მიერ, ზ. წუწუნავას რეჟისორობით, წარმოდგენილი იქმნა ა. ცაგარლის „მშვენიერ ელენეს ჰაძიებელნი" და დ. აწყურელის ვოდევილი „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ".

ორივე პიესამ მწყობრად ჩაიარა, მოთამაშეთ ეტყობოდათ რეჟისორის ხელი, აღსანიშნავია, რომ ზ. წუწუნავა, ამ წარმოდგენას პირველად რეჟისორობდა და თუ იგი შემდეგშიაც არ დაზოგავს თავის შრომას, ჩვენი სცენის მოყვარენი საკმაოდ დახელოვნდებიან.

პირველ პიესაში კარგი ანტრეპრენიორები იყვნენ ზ. ტარუაშვილი (მახოხაშვილი) და ზ. მწარიშვილი (ლომაძე) არა-უშავდათრა თავიანთ როლებში ქ-ნთ ჩხეიძეს და სალარიძეს. ეს უკანასკნელი უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ თავისუფალი და ბუნებრივი მიხვრა მოხვრა ჰქონოდა. ქ-ნ ჩხეიძეს ურჩევთ პაუზებს მეტი ყურადღება მიაქციოს და სადაც საჭირო არ არის, იგი თავიდგან აიცდინოს. ქ-ნი სიხარულიძისამ თავისი პატარა როლი მოხდენილად შეასრულა. ვოდევილში თითქმის ყველანი კარგები იყვნენ. — განსაკუთრებით ბ-ნნი ტარუაშვილი და ზ. მწარიშვილი. აღსანიშნავია, რომ სუფლიორის ხმა პარტერში ყოველთვის ისმის.— ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე, როდესაც სიტყვები ჯერ სუფლიორისგან გესმით და მერე მოთამაშეთაგან. დროა, გამგეობამ ამ ნაკლს ყურადღება—მიაქციოს და შესაფერისად მოაწყოს სუფლიორის საჯური. წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო.

დროებით ჭიათურელი.

---

შემეცნების შემეცნება უნდა იყოს, არ უნდა ჰქონდეს გარკვეული და ყველასაგან მიჩნეული ფარგლები იმ მეცნიერებასთან, რომელიც თავის დანიშნულებას საზოგადოდ მთელ ფსიხიურ ცხოვრების გამორკვევაში პოულობს; შემეცნების თეორია ფსიხოლოგიის ერთ-ერთი ნაწილია და როგორც ასეთი, ვერ წამოაყენებს მოთხოვნილებას საკუთარ მეთოდზე და მის განცალკევებულ მეცნიერებად აღიარებაზე. მართლაც, შემეცნების თეორიისა, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებისა და მის საკუთარ მეთოდის არსებობის შესახებ დღეს გაცხარებული ბრძოლაა გაჩაღებული ეგრედ-წოდებულ ფსიხოლოგისტთა და ანტიფსიხოლოგისტთა ან ფორმალისტთა შორის.

პირველი მიმართულება—ფსიხოლოგიზმი გვარწმუნებს, თუ ფსიხოლოგია საზოგადოდ მთელ ფსიხიურ ცხოვრებას იკვლევს, თუ მისი საგანი არა მარტო გრძნობითა და ნებით ისაზღვრება, არამედ მას ეკუთვნის აგრეთვე მთელი ფართო ველი შემეცნებისა, რატომ უნდა იყოს შემეცნების თეორია (ან ლოგიკა) ისეთი მეცნიერება, რომელიც ფსიხოლოგიის კომპეტენციის გარეშე სდგას; რა უფლება გვაქვს აღვიაროთ იგი დამოუკიდებელ მეცნიერებად, რა უფლება გვაქვს არ მივიჩნიოთ მის მეთოდად „აღწერა, ანალიზი, შემეცნების ფუნქციებისა და მათის შედეგების გენეტიური წარმომდინარეობა", როდესაც ნამდვილი შემეცნებას თეორია მუდამ ამ მეთოდით სარგებლობდა და ისარგებლებს კიდეც? მართალია, არსებობს ეგრედ-წოდებული „კრიტიკული" ან „ტრანსცენდენტური" მეთოდი, მაგრამ განა აშკარა არ არის, რომ ასეთ მეთოდების არსებობა სრულებით არ არის საკმარისი რომ შემეცნების თეორია ცალკე, დამოუკიდებელ მეცნიერებად მივიჩნიოთ! რა არის შემეცნება, თუ არა ფსიხიურ ცხოვრების გამოაშკარავება, ფსიხოლოგიური მოვლენა, და თუ ეს მართლაც ასეა, მაშ იგი უსათუოდ უნდა ემორჩილებოდეს საზოგადო ფსიხოლოგიურ კანონებსა და ემორჩილება კიდეც. შემეცნების წარმოშობა, მისი ფსიხოლოგიური წარმოშობა, მემეცნების საშუალებანი და მისი განსაკუთრებული ფორმები თვით სუბიექტის ორგანიზაციაშია დამალული, და თუ ყველა ეგ ასეა, განა აშკარა არ არის, რომ შემეცნების თეორია მხოლოდ ფსიხოლოგიის ერთ-ერთი ნაწილი ყოფილა! ფსიხოლოგისტთა ჯგუფს ეკუთვნის ლოკი და იუმი, მილი და სხვ. დღევანდელ ფილოსოფიაში კი მახი და სხვ. მეორე მიმართულება-ფორმალიზმი კი აცხადებს, რომ ვითომ შემეცნების თეორიას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ფსიხოლოგიასთან, რომ იგი სრულიად თავისუფალი ფორმალური მეცნიერებაა, ჰუსერლის აზრით (Logiche Untersuchungen) არსებობს მესამე სამეფო, სადაც გაბატონებულნი არიან „ჭეშმარიტებანი თავისთვის", ჩვენგან დამოუკიდებლად, და შემეცნების თეორია სწორედ ის მეცნიერებაა, რომელიც ამ მესამე სამეფოსკენ მიისწრაფის და როგორც ასეთი არავითარ კავშირს არ იჭერს ემპირიულ მეცნიერებებთან, რომელთა რიცხვს სხვათა შორის ფსიხოლოგიაც ეკუთვნის. ამ უკანასკნელის კანონები ბუნებრივი კანონებია. ლოგიკის კანონები კი იდეალური კანონებია დამოუკიდებლად თვით აზროვნების ფაქტისაგან, რადგანაც იგი ამ მესამე სამეფოს კანონებისაკენ ისწრაფის, რომელიც აზროვნებისაგან დამოუკიდებლად უნდა იქმნას აღიარებული. ფორმალისტთა ჯგუფს შეადგენენ კანტი, ჰეგელი და სხვა, თანამედროვე ფილოსოფიაში კი ნატორპი, კოჰენი და სხვ.

არის კიდევ მესამე მიმართულება, რომელსაც შემარიგებელი ადგილი უჭირავს ამ ორ უკიდურესობათა შორის და რომლის წარმომადგენლებად სხვათა შორის ვუნდტი, ჰეფდინგი, პაულსენი და სხ. უნდა ჩაითვალონ. ვუნდტის აზრით ყოველი შემეცნებითი აქტი, როგორც სულიერი მოვლენა, თავის ფაქტიურ მხრით ფსიხოლოგიას ეკუთვნის, სანამ მის ფორმალურ მხარეს თავის ლოგიკურ მნიშვნელობის მხრით შემეცნების თეორია არ შეაფასებს (Einleitng in d.philos. S. 28), ასეთ შეფასებასთან კი ფსიხოლოგიას საერთო არაფერი არა აქვს.—ჰეფდინგი თავის „რელიგიის ფილოსოფიაში" ამბობს: „შემეცნების თეორია იკვლევს ჩვენის შემეცნების ფორმებსა და ელემენტებს და კითხულობს: შეიძლება თუ არა მათი ხმარება არსებობის შემეცნების პროცესში? ფსიხოლოგია კი იკვლევს მათ ფაქტიურ წარმოშობასა და ყურადღებას არ აქცევს მათ შემეცნებითს ღირებულობას (Religionsphilos. S. 85). —აი ყველა ის მიმართულებანი შემეცნების თეორიაში, რომელთაგანაც ერთ-ერთის დალასტურებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემეცნების თეორიის სხვა მეცნიერებებთან დამოკიდებულებისა და მის მეთოდის გამორკვევისათვის.

ასეთ სქემატიურ საკითხთა დაყენებით და მათის ანალიზით მიღწეულია ამ წერილის მიზანი; მე მსურდა გამომერკვია შემეცნების თეორია, როგორც ასეთი, და არა ამგვარ შემეცნების თეორიის სისტემატიური შენობა. ეს მიზანი კი, ჩემის აზრით, ყველაზედ უკეთ ჩვენის მეცნიერების საკითხთა დასმით შეიძლება მიღწეულ იქმნას. უპასუხეთ ყველა ამ საკითხებსა და თქვენ გექნებათ თქვენი შემეცნების თეორია.

დ. უ—ძე.


# განცხადებანი

**ექიმი** ნიკო ერისთავი ბათომში

სამხედრო სამკურნალოს ორდინატორი ღებულობს და არჩენს შინაგან, ბავშვებისა და ნერვებით ავადმყოფებს. მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდის ფილტვებით, გუჯით, ნაწლევებით (ბავშვების ფაღარათით) და ქარებით (რევმატიზმით) ავადმყოფებს; ციებ-ცხელების დიაგნოზი ახალის მეტოდით, სისხლის და ნაზველის მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ბათომი გლადიკავკავის ქ. N 24
(20—171—20)

ტანისამოსის მაღაზია ი. ნ. სვანიძე
(20—127—14)

გამოცდილი მასწავლებელი

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც —პანსიონში, რომელნიც ერ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც)

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. სალ. 5 —8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ადგილას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала).
(თ—152—23)

სასტუმრო ნომრები ტფილისში
(30—181—10)

ფირმა არსებობს 1840 წლ.

უმაღლესი ხარისხის

ჩაი

გუბკინ

კუზნეცოვის ამხ.-სა

სავაჭრო ნიშანი

ЗАЯВЛЕНЪ ОТДѢЛУ ПРОМЫШЛЕННОСТИ ТОРГОВЫЙ ЗНАКЪ

ფირმის წლ. შემოსავალ-გასავალი 50 მილ.

იშოვება ყველგან

ნაღდ და ვალით ვაჭრობა ნარდად

ტფილისის კანტორა: ველიამინოვის ქ. № 12 ტელეფონ. № 964.
(20—140—3)

ცენტრალური აზიური ბუფეტი

პურ-ღვინო

ვორონცოვის მოედანზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

საჭმლები ევროპიული და კავკასიური; ღვინოები კახური საუკეთესო ფირმებისა და სვირული—ბოთლი 25 კაპეიკიდან 1 მანეთამდე; მაგარი სასმლები რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა ზომიერ ფასებში; ყოველ დღე ცოცხალი თევზი; ცალკე კაბინეტები; მოსამსახურენი სუფთა და მკვირცხლი.

✦ ვაჭრობა ღამის 2 საათამდე ✦

(20—160—10) ამხანაგობის გამგე არხიპო ჭიჭინაძე.

თევზის მაღაზია

ს. ა. გუკასოვისა

პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, მართლმადიდებელთა ძველის სემინარიის პირდაპირ

ტელეფონი № 395 ტელეფონი № 395

განუწყვეტლივ, ყოველ დღე მოგვდის ახალ-ახალი ზუთხი და თართი, ხიზილალა პარკისა, ქვირითისა და კოლოფებით. საუკეთესო დოში და ზურგიელი და აგრეთვე ყოველგვარი თევზეული.
ფასები სინდისიერია. პატივისცემით ხ. ა. გუკასოვი. (40—33—23)

ხილეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები

მ. ლაღიძისა და ამხ.

მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვენითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით, გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.

◀ წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მენდლით. ▶

ქარხნები: ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411. ქუთაისში, პუშკინის ქუჩა. (20—139—13)

ვართან ლისიციანი

დავალებით აცხადებს, რომ

● საბურთალოში გასასყიდია ადგილები ●

ფულს ვიღებ მხოლოდ მე, და სხვა ვისიმეს კვიტანციას ძალა არა აქვს.
(2—222—2)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

● მაღაზიას ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მიიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. 60 კ. გირ.

აგრეთვე მიიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—128—36)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა